ცნობის ფურცელი

№ 2571 კვირა, 1 აგვისტო 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2571

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატე—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა. შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ქუთაისის ქალაქის გამგეობა ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ გარდაცვალების მეორმოცე დღეს, კვირას, 1 აგვისტოს დილით 12 საათზე მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში გარდახდილი იქმნება პანაშვიდი

სამსონ ბესარიონის ძის თოფურიას

სულის მოსახსენებლად.

(ნ.—1—1)

გარდაცვალებულის **ალექსანდრე ბარათაშვილის** დედა—მარიამ, და დები—ელენე, ნინო და სოფიო გულითადს მადლობას უძღვნიან ყველა ნათესავთ, ნაცნობთ, ელისაშვილის ხოროს და სხვათა, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს მათს მწუხარებაში მათის ძვირფასის **საშას** უდროოდ გარდაცვალებისა გამო. (1—264—1)

ისყიდება

სადალაქო თავის მოწყობილობით, ჩემის ძმის უდროოდ გარდაცვალების გამო. მიჰმართეთ ოლგინის ქ. № 16.

(3—1) ალ. ბარბაქაძე.

უმაღლესი მანიფესტი

მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ხელმწიფე დედოფლის ალექსანდრა თეოდორეს ასულის ფეხ მძიმობისაგან განთავისუფლების გამო გამოცხადდა შემდეგი უმაღლესი მანიფესტი:

„ნებითა ღვთისათა ჩვენ, ნიკოლოზ მეორე, იმპერატორი და თვითმპყრობელი სრულიად რუსეთისა, მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლიანდიისა და სხვათა, და სხვათა, და სხვათა გაუცხადებთ ყველა ჩვენს ერთგულ ქვეშევრდომთ: ამა ივლისის ოცდა ათსა დღესა უსაყვარლესი მეუღლე ჩვენი, ხელმწიფე დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული, კეთილად განთავისუფლდა ფეხმძიმობისაგან და ეყოლა ვაჟი, რომელსაც სახელად ალექსეი ეწოდა. მივიღეთ ეს სასიხარულო ამბავი, როგორც წყალობა ღვთისა, ჩვენზე და იმპერიაზე მოვლენილი, და ჩვენ ერთგულ ქვეშევრდომებთან ერთად მხურვალე ლოცვით ვევედრებით უზენაესს, რათა კეთილად აღზარდოს და წარმატება მიანიჭოს ჩვენს პირმშო მეს, რომელიც მოწოდებულია მემკვიდრედ ღვთის მიერ ჩვენდამი ბოძებულ სამეფოსა და ჩვენის დიდებულის სამსახურისა. 1899 წლის 28 ივნისის მანიფესტით ჩვენ მოვუწოდეთ უსაყვარლესსა ძმასა ჩვენსა, დიდს მთავარს მიხეილ ალექსანდრეს ძეს უფლებიერო ჩვენს მემკვიდრედ ვაჟის დაბადებამდე. ამიერიდან, სახელმწიფო ძირითად კანონების ძალით, ჩვენს შვილს ალექსეის ეკუთვნის უმაღლესი წოდება და ტიტული მემკვიდრე ცესარევიჩისა მასთან დაკავშირებულ ყველა უფლებებით. ბოძებულია პეტერგოფს ივლისის ოცდა ათს დღესა, ქრისტეს დაბადებიდან ათას ცხრაას მეოთხესა, ხოლო მეფობისა ჩვენისასა მეათესა წელსა“.

ნამდვილზე მისის უდიდებულესობის საკუთარის ხელით აწერია **ნიკოლოზ.**

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

30 ივლისი

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის დეპეშა, მისს უდიდებულესობას 29 ივლისს: „დღეს მანჯურიის ჯარის სამხრეთ მხარეს შევამჩნიეთ, რომ იაპონიის პატარა რაზმები წინ მოიწევდნენ. მდინარე ლიაოს რაიონში, ინკოუს ზემოდ, ჩნდებიან ხუნხუზთა ბრბოები, რომელთაც იაპონელი აფიცრები ხელმძღვანელობენ. აღმოსავლეთის მხარეს ცვლილება არა მომხდარა-რა“.

მუკდენი. (სააგ. საკ. კორესპ.). როგორც ამბობენ, იაპონელები შეჩერდნენ და ანშანჯანისკენ აღარ მიიწევენ. ამბობენ, ერთი რაზმი მდ. ლიაოხეს მისდევს, მეორე—რუსის პოზიციების აღმოსავლეთით მიდის. იაპონელებს თავიანთ ჯარის ნაწილი პორტ-არტურისკენ გაუგზავნიათ.—ხმა დადის, პორტ-არტურს მეოთხე დღეა იაპონელები ხმელეთიდან ზარბაზნებს უშენენ.

ლონდონი. ლორდთა პალატა. ლანსდოუნმა განაცხადა: „ჩემის აზრით, რუსის დობროვოლნი ფლოტის გემებს, როგორც სამხედროებს, უფლება არა აქვთ დარდანელი გაიარონ. იმ შემთხვევაში, თუ გასული გემი სამხედრო არ იქნება, უფლება არა აქვს გასვლისათანავე სამხედრო გემად გადაიქცეს. რაც შეეხება გემების „პეტერბურგ“-ისა და „სმოლენსკ“-ის გასვლას, ამ საკითხმა მწვავე ხასიათი უკვე დაჰკარგა. ორივე გემი გაძევებულ იქნა წითელ ზღვიდან. დობროვოლნი ფლოტის სხვა გემების გასვლის შესახებ ოსმალეთმა მიიღო რუსეთის ოფიციალური განმარტება; რუსეთი დაჰპირდა, გასულ გემებზე მუდამ სავაჭრო დროშა იქნება აფრიალებული; ამ გემებს არ ექნებათ არც სამხედრო მასალა და არც ზარბაზნები, არც კრეისერებად გადავაკეთებთო. ომის დაწყებისას რუსეთმა გამოსცა წესები სამხედრო კონტრაბანდის შესახებ. ამ წესებში ბევრი ისეთი ნივთები და საქონელია მოქცეული, რაც ინგლისს და სხვა სახელმწიფოებს კონტრაბანდად არ მიაჩნიათ. ჩვენ ამის შესახებ გამოველაპარაკეთ რუსეთს და ვაცნობეთ, რომ ყოველგვარ სანოვაგის კონტრაბანდად გამოცხადება ახალი და სერიოზული საქმეა. ამასთან პროტესტიც განვაცხადეთ იმ პრინციპის წინააღმდეგ, ვითომ მეომარ სახელმწიფოს ნეიტრალურ სახელმწიფოების დაუკითხავად უფლება ჰქონდეს ესა თუ ის საქონელი კონტრაბანდად აღიაროს. დასასრულ განვაცხადეთ, რომ ვერა ვცნობთ კანონიერად ამა თუ იმ საპრიზო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელიც არღვევს დასახელებულ უფლებებს ან საერთაშორისო უფლების პრინციპებს; ვერც დავეთანხმებით, რომ გემის „ნაიტ კომანდერ“-ის ჩაძირვის გამართლება შეიძლებოდეს საერთაშორისო უფლების ძალით. ეს საქმე ვლადივოსტოკის საპრიზო სასამართლოს შემდეგ უნდა განიხილოს სააპელაციო სასამართლომ. თუ ეს უკანასკნელი დაარღვევს პირველის გადაწყვეტილებას, სასიხარულო იქნება, მაგრამ მაინც დაარღვევს თუ არ დაარღვევს გადაწყვეტილებას, ჩვენ არ შეგვიძლიან ჩავთვალოთ, რომ ორივე სასამართლოს მოქმედება კანონიერია. აღნიშნულ ინციდენტების მიუხედავად, მე მგონია, ორსავე სახელმწიფოს მთავრობა სცდილობს, საქმე საკეთილოდ დაბოლოვდეს. ჩემის აზრით, რუსეთის მთავრობა არ განაცხადებს, რომ პრინციპიალურად უფლება მქონდა ასე მოვქცეულიყავიო, მაგრამ მაინც ვიმედოვნებ, რომ კონტრაბანდის საკითხში მშვიდობიანად შევთანხმდებით“. საზოგადოებათა პალატაში ბალფურმა იგივე განაცხადა, რაც ლანსდოუნმა ლორდთა პალატაში, ამასთან აღნიშნა, „ყველა სახელმწიფო ჩვენთან ერთად იმ აზრისაა, რომ სანეიტრალო ნავთსადგური არ შეიძლება გადაიქცეს სამხედრო გემების სამოქმედო ბაზადაო. სუეცის არხის შესახებ დადებულ იქნა განსაკუთრებული ხელშეკრულებანი. საფრანგეთი შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში სხვა აზრისა იყოს, მაგრამ იმედი გვაქვს, იგიც ჭეშმარიტებად აღიარებს იმ პრინციპს, რომ სანეიტრალო სახელმწიფოებმა ნება არ უნდა დართონ მეომართ სანეიტრალო ნავთსადგურები მოიხმარონ სამხედრო ოპერაციებისთვისაო.“ კამათის შემდეგ პალატამ მიიღო წინადადება, რომლითაც მოწონებულ იქნა მთავრობის პოლიტიკა.

ჩიფუ. („რეიტ. სააგ.“). კრეისერი „ფიურსტ ბისმარკი“ ცინდაოში წავიდა. გემი საჩქაროდ გაემართა.

პეტერბურგი. „რეიტ. სააგ.“-ს ცნობებით, ფოსტა, რომელიც რუსის კრეისერებმა ხელში ჩაიგდეს გემ „პრინც ჰენრიხ“-ზე, ამ ჟამად იაპონიაში მიაქვთ და ჩააბარებენ ნაგასაკსა, კობესა და ტოკიოში იაპონიის ფოსტის უმთავრეს გამგეობას გერმანიის საკონსულო წარმომადგენლის თანადასწრებით. „რეიტ. სააგენტო“-ს ცნობებით, პეტერბურგში დაარსებულა კომისია, რომელშიაც წარჩინებული მოხელეები იღებენ მონაწილეობას. კომისიამ უნდა გამოარკვიოს დობროვოლნი ფლოტის მდგომარეობა საერთაშორისო უფლების მიხედვით. კომისიაში მონაწილეობას იღებს ცნობილი იურისკონსულტი მარტენსი. მარტენსივე დანიშნულია აგრეთვე საზღვაო დავლის სააპელიაციო სასამართლოში. ამ სასამართლოს სხდომები საადმირალოში იმართება. სასამართლომ უნდა განიხილოს ხელმეორედ, ვლადივოსტოკის საზღვაო სასამართლოს დადგენილებანი.

მუკდენი. (საკუთ. კორ.). პორტ-არტურიდან მოსულნი ამბობენ: ბრძოლის დღეს, 13 ივლისს, „რეტვიზან“-ი გამოვიდა ნავთ-სადგურიდან, რათა მონაწილეობა მიეღო ხმელეთიდან იერიშით მოსულ იაპონელთა მოგერებაში. როცა „რეტვიზან“-ი გამოვიდა, ჰორიზონტზე მყოფი იაპონიის კრეისერი სადღაც წავიდა. რამდენიმე ხნის შემდეგ გამოჩნდა იაპონელთა ორი ჯავშნიანი გემი, ნელად მოახლოვდა და „რეტვიზან“-ს ზარბაზნები დაუშინა. „რეტვიზან“-მაც პასუხი გასცა. ოთხჯერ რომ გაისროლა, დაინახეს, როგორ დაეცა 12-დიუმიანი ყუმბარა იაპონელთა ერთ გემის საკვამლეებს შუა და გემის მანქანამ ხშირი ორთქლი ამოუშვა. იაპონელთა ორივე გემი იმ წამსვე წავიდა. დამსწრენი ამბობენ, 20 ივლისს ჩიფუში ჩინელებმი გვიამბეს, ამ რამდენიმე დღის წინად ზღვაში ერთი დიდი და ერთი უფრო პატარა გემი დაიღუპაო. საქმის გარემოების მიხედვით შეგვიძლიან ვიგულისხმოთ, რომ ეს „რეტვიზან“-ისაგან დაზიანებული გემები უნდა ყოფილიყვნენ.

ბერლინი. („ვოლფის სააგ.“). ოფიციალური. გერმანიის კრეისერი „ფიურსტ ბისმარკ“-ი კრეისერთა ესკადრის უფროსით პრისვიცით ჩიფუდან გავიდა და ცინდაოს მიდის. გერმანიის კრეისერი „თეტის“-ი 31 ივლისს მიდის ჩიფუდან, კრეისერი „ზეეადლერ“-ი 31 ივლისს ცინვანდაოდან ცინდაოს მიდის.

ჩიფუ. („რეიტ. სააგ.“). მართლდება ცნობა, რომ რუსის გემები ცინდაოს მივიდნენ. მივიდნენ კრეისერები „ასკოლდ“-ი და „დიანა“ და ერთი კონტრ-ნაღმიანი გემი. კრეისერი „ნოვიკ“-ი არ მისულა. კრეისერები „ფიურსტ ბისმარკ“-ი და „თეტის“-ი ჩიფუდან ცინდაოს წასასვლელად ემზადებიან. ამბობენ, იაპონელებმა რუსის ორი ნაღმიანი გემი ჩაიგდეს ხელთ ჩინეთის სანაპიროსთანო. ჰფიქრობენ, რუსების ცდა ვლადივოსტოკისკენ გზის გასარღვევად, უნაყოფო დარჩაო.

ტოკიო. პორტ-არტურთან ალყად შემორტყმულ არმიიდან დაბრუნებული აფიცერი ამბობს, რუსები მეტად გულ-მოდგინედ მუშაობენ იაპონელთა წინსვლის დასაბრკოლებლადაო: მართავენ მავთულის ღობეებს და სხვა ამგვარ დაბრკოლებებს. იაპონელი აფიცრები და სალდათები გაკვირვებულნი არიან ალყა-შემორტყმულ რუსების სიმამაცით. აქ ჰფიქრობენ, რომ რუსის ესკადრის უმეტესი ნაწილი პორტ-არტურს დაბრუნდა.

ჩიფუ. („რეიტ. სააგ.“). ნაღმიან გემ „რეშიტელნი“-ზე გაჰგზავნეს იაპონელი აფიცერი, რათა გამოეცხადებინა რუსის კაპიტნისათვის, ნავთ-სადგურიდან გამოდით და შეგვებრძოლეთო. კაპიტანმა მიუგო, გემის მანქანა არ მოქმედებს, იარაღი წაღებულია გემიდან და ყველაფერი ჩინელთ გადაეცაო. იაპონელმა სურვილი გამოაცხადა, თავის თვალით ენახა, მართლა წაღებულია იარაღი თუ არა. ამ დროს რუსის კაპიტანს ვითომ ნელის ხმით საჩქაროდ ბრძანება გაეცეს გემის აფეთქების შესახებ, იმ წამსვე თავს დასცემოდეს იაპონელ აფიცერს და მასთან ერთად წყალში გადავარდნილიყოს. ბრძოლა ნაღმიან გემზე 10 წუთს გაგრძელდა და დასრულდა თუ არა, მძლავრმა აფეთქებამ გაანადგურა ზედა პალუბა და არ დაუზიანებია გემის ტანი. გაუგებარია ჩინეთის უმოქმედობა ნეიტრალიტეტის ასე აშკარად დარღვევის გამო. ჰფიქრობენ, რომ ამ საქმეში სხვა სახელმწიფოები ჩაერევიან.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-3 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. იაპონიის ელჩმა რომში გამოაცხადა, „ჯიორნალე დ'იტალია“-ს ცნობა, ვითომ კრეისერი „კასუგა“ დაღუპულიყოს, ტყუილიაო. („ნ. დ.“).

გენ. კუროკი იუწყება, 19 ივლისს კუშულინძისთან და იანძელინთან 519 მოკლული რუსი დავასაფლავეთ და 268 რუსი დავატყვევეთო; ტყვეებში 115 კაცი დაჭრილიაო. („რ. ს.“).

„ტაიმს“-ს ატყობინებენ: ინკოუში იაპონელებმა პროკლამაცია გამოსცეს და ხალხს გამოუცხადეს: მშვიდობიან ხალხს არას დავუშავებთ, ყველას ქონებასა და უშიშრობას დავიცავთ, რუსის მომხრეებსა და გამკეთლებსკი სასტიკად დავსჯითო.

„დეილი მეილ“-ის კორესპონდენტი იუწყება ნიუ-ჩუანიდან: იაპონელებს კანონირი გემები „აკაჩი“ და „უჩი“ 23 ივლისს მდინარე ლიაოთი ზევით წავიდნენ, რომ რუსის რაზმებს მდინარეში გასვლა და უკან დახევა დაუშალონ. ამას გარდა, ეს კანონირი გემები პროვიანტით დატვირთულ ნავებს გაასცილებენ და ჩინელების ნავებზე თვალს დაიჭერენ, რომ რუსებს სურსათი არ მიუტანონო. („რ. ლ.“).

იაპონელებმა ინკოუში რუსების რკინის გზის სადგურში თავიანთ ჯარის სამხედრო სურსათი დააწყეს. ქალაქის დასაცველად იაპონელებმა 2 ათასი ჯარის-კაცი დააყენეს ინკოუში. მალე სატრანსპორტო და საავადმყოფო გემები მოუვათ აქა. იაპონელებმა რუსეთ-ჩინეთის ბანკზე თავიანთი ბაირაღი გაშალეს. ბევრი იაპონელი ვაჭარი მოვიდა აქა. იოკაგამის ბანკი (იაპონელების ბანკია) მალე მოქმედებას დაიწყებს აქა და სატამოჟნო ბაჟების შეკრებას შეუდგება. 1900 წლის აგვისტოდამ რუსეთ ჩინეთის (რუსის ბანკია) ბანკს ტამოჟნიდან 8 მილიონი მანეთი შეუვიდა. („ნ. დ.“).

ჩინელები ჰფიქრობენ, იქნება საქმე ისე წავიდეს, რომ რუსის ჯარი ძალა-უნებურად ჩინეთის საზღვარზე გადმოვიდესო. ამიტომ ჩინეთი ბეჯითად და საჩქაროდ ემზადება, ჯარსა ჰკრებს, რომ თუ ვინიცობაა საჭიროებამ მოიტანა, თავისი ნეიტრალიტეტი იარაღით დაიცვას. „ლოკალ ანცაიგერ“-ს დეპეშით ატყობინებენ ნიუჩუანიდან: აქ ახალგაზრდა ჩინელებს ჯარში იწვევენ და საუკეთესო პოლკებში აწესებენ. ამ პოლკებს იაპონელი აფიცრები უფროსობენ. ამბობენ, მეფის მოადგილეს იუანშიკაის ამ ჟამად 150 ათასი ჯარის-კაცი ჰყავს თოფ ქვეშ და თან-და-თან უფრო უმატებს ჯარსაო. იუანშიკაი და გენ. მა იმ აზრით ამზადებენ ჯარსა, რომ თუ ვინიცობაა რუსები მანჯურიის საზღვარს გადასცდებიან და ნეიტრალურ

ადგილებში გადავლენ, დაუხვდნენ და იარაღი აჰყარონო. („ნ.“).

ადმირალ ტოგოს მოხსენება. ადმირალმა ტოგომ ოფიციალურად მოახსენა იაპონიის საზღვაო შტაბს: 23 ივლისს ნაშუადღევის 4 საათზე კონტრ-ნაღმიანი გემი „აკებონო“ კაპიტან კაცუმას უფროსობით და „ობორო“ კაპიტან ტაველრას უფროსობით პორტ-არტურს ახლო მტერსა ჰზვერავდნენ. მოულოდნელად ნავთ-სადგურიდან 14 რუსის კონტრ-ნაღმიანი გემი გამოვიდა. როცა მტრის გემები საზარბაზნედ მოგვიახლოვდნენ, ოთხი რუსის კონტრ-ნაღმიანი გემი სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ გაემართა, შვიდი სამხრეთისაკენ, სამი იანჩენის კონცხისაკენ; უნდოდათ ჩვენთვის წრე შემოევლოთ. 4 ს. 40 წ. ჩვენ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ დავიხიეთ და 5 ათას მეტრის მანძილზე მტერს ზარბაზანი დავუშინეთ; მტერმაც გვიპასუხა. ჩვენი ორი გემი კონცხისაკენ მიმავალ სამ რუსის გემს მიუახლოვდა და იერიშით მივიდა; ეს სამი გემი საჩქაროდ ნავთ-სადგურისაკენ წავიდა; ჩვენც დავედევნენით. ეს ამბავი ნაშუადღევის 5 საათზე მოხდა, როცა ნაღმიანი გემი „იკაცუმი“ კაპიტან შინოვარის უფროსობით მოგვეშველა; სამივე ერთად მტერს დავედევნენით და სამხრეთისაკენ წასულ რუსის 11 კონტრ-ნაღმიან გემს მივუახლოვდით. მაგრამ რა წამს დაგვინახეს, რუსის გემები უკან გაბრუნდნენ, თუმცა ჩვენ სროლაზე ხელი ავიღეთ. ნაშუადღევის 6 საათზე რუსის კონტრ-ნაღმიანი გემები ყველანი ნავთ-სადგურში შევიდნენ. ჩვენ გემებს არაფერი ზიანი არ მოჰსვლიათ. ჩვენი მეზღვაურები ყოჩაღად მოიქცნენ; თუმცა რუსებს გაცილებით მეტი გემი ჰყავდათ, მაინც ვერა დააკლეს-რა ჩვენ სამ გემს. („ნ. დ.“).

ლიაოიანთან. „ბერლინერ ტაგებლატ“-ის კორესპონდენტი იუწყება ლიაოიანიდან: 24 ივლისს ნამესტნიკი ალექსეევი და გენ. კუროპატკინი ლიაოიანს მოვიდნენო. („ნ. დ.“).

„ვინ. პოლ. კორესპონდენც“-ი ჰფიქრობს, გენ. კუროპატკინი არ მოტყუვდება და მუკდენამდე არსად შეებრძოლება იაპონელებსაო. იაპონელებს 300 ათასი ჯარის კაცი ჰყავთ ლიაოიანთან, ამიტომ გენ. კუროპატკინი იქმნება მუკდენთანაც მოერიდოს ბრძოლას და ხარბინამდე დაიხიოსო. ხარბინში ახალ ჯარს მოუცდის და მომავალ გაზაფხულზე დიდის ჯარით იაპონელებს დაეცემაო.

„ეკო დე პარი“, „ჟურნალ“-ი და ზოგიერთი სხვა ფრანგული გაზეთები ჰფიქრობენ, გენ. კუროპატკინი აუარებელ სურსათს ლიაოიანში მიატოვებს და იაპონელებს-კი არ შეებრძოლებაო. („რ. ლ.“).

პარიზში დარწმუნებულნი არიან, რომ გენ. კუროპატკინი, გინდაც მოინდომოს, უბრძოლველად ვერ წავა ლიაოიანიდანაო. იქ რუსებს იმდენი სამხედრო და საკვები სურსათი აქვთ დამზადებული, რომ ჩრდილოეთისაკენ წაღებას ვერ მოახერხებენ, ვერ მოასწრობენო. ფრანგულ გაზეთების ანგარიშით, გენ. კუროპატკინს ლიაოიანთან 180 ათასი კაცი ჰყავს, იაპონელებს სამივე არმიაში 210 ათასი კაციო.

ფრანგულ გაზ. „ტან“-ის სამხედრო მიმომხილველიც იმ აზრისაა, რომ გენ. კუროპატკინი უბრძოლველად არ დასტოვებს ლიაოიანსაო. მიმომხილველი სწერს: ლიაოიანი ნამდვილი შუა-გული, ნამდვილი თვალია რუსის სამხედრო პოზიციებისა მანჯურიაში. ამიტომ არ გვგონია, რომ რუსებმა ლიაოიანი მიატოვონ. ამ სამხედრო კერის დატოვება მეტად ცუდ ზნეობრივ გავლენას იქონიებს ყველაზე. ამას გარდა, ლიაოიანში იმდენი სამხედრო და საკვები სურსათია დამზადებული, იმდენი ძლიერი სიმაგრეებია აშენებული და იმდენი დაწესებულებაა მოწყობილი, რომ იმისი დატოვება პირდაპირ შეუძლებელია. ასეთ კარგს გამაგრებულს პოზიციას გენ. კუროპატკინი ვეღარსად იშოვის. აქ გენ. კუროპატკინს არა თუ მარტო მტრის მოგერება და დახვედრა, თითონაც-კი შეუძლიან იაპონელებზე იერიშის მიტანა. რუსის მთავარ-სარდალს ლიაოიანთან 200 ათასი კაცი ჰყავს; ლიაოიანს ახლო ვაკე ველია, სადაც რუსის არტილერია და რუსის ყაზახები უფრო დიდ ძალას გამოიჩენენ და უფრო თავისუფლად იმოქმედებენ. ამიტომ გვგონია, რომ გენ. კუროპატკინი ლიაოიანთან ბრძოლას არ მოერიდება. ამ ბრძოლას არა თუ მარტო რუსის ისტორიაში, მთელის კაცობრიობის მომავალ ბედისათვისაც-კი დიდი მნიშვნელობა ექნება. („პ. ვ.“).

„დეილი მეილ“-ის კორესპონდენტი იუწყება ნიუ-ჩუანიდან: აქედან 2 ათასი ჯარისკაცი დიდ-ძალ სურსათით ხაიჩენისაკენ წავიდა; ამბობენ, ხაიჩენის ჩრდილოეთით დიდი ბრძოლა მოხდებაო, გენ. კუროკი 100 ათასის კაცით ლიაოიანისაღმოსავლეთითა დგას, გენ. ნოძუ 50 ათასის კაცით სამხრეთ-აღმოსავლეთით და გენ. ოკუ 50 ათასის კაცით სამხრეთ-დასავლეთით. თუ გენ. კუროპატკინს აქაც ბედმა უმტყუნა, რუსის ჯარი ძალა-უნებურად დასავლეთისაკენ დაიხევს. მალე აქ ისეთი დიდი ბრძოლა მოხდება, რომ ისტორიაში ჯერ არ მომხდარიყოს. („ნ. დ.“).

როგორც ვიცით, „რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო თანამშრომელი ვ. ს. კ.-ც იმ აზრისაა, რომ ლიაოიანთან მალე უთუოდ დიდი ბრძოლა მოხდებაო. ვ. ს. კ. სწერს: ზოგიერთი უცხოეთის გაზეთი ამტკიცებს, გენ. კუროპატკინი დიდ განსაცდელშია ჩავარდნილი და ლიაოიანთანაც უსათუოდ დამარცხდებაო. ეს მეტად ნაადრევი და სუმბუქი წინასწარმეტყველებაა. როგორ წავა ლიაოიანთან საქმე, ვინ გაიმარჯვებს და ვინ დამარცხდება, ამის გამოცნობა მეტად ძნელია. ეხლა მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლიან ბეჯითად, რომ თუ ლიაოიანთან ბრძოლა მოხდა, ეს ბრძოლა უდიდესი ბრძოლა და სისხლის ღვრა იქნება ისტორიაში. იაპონელები, რაღა თქმა უნდა, რაც სამხრეთ მანჯურიაში ჯარი ჰყავთ, სულ ლიაოიანთან მოუყრიან თავს; ჩვენის ანგარიშით იაპონელების სამივე არმიას ლიაოიანთან 270 ათასი კაცი ეყოლება და 750 ზარბაზანი ექნება; გენ. კუროპატკინს 200 ათასი ჯარი ეყოლება და 450 ზარბაზანი ექნება. ასე რომ ლიაოიანთან ბრძოლაში სულ 470 ათასი კაცი მიიღებს მონაწილეობას და 1200 ზარბაზანი დაიქუხებს. ერთის სიტყვით, ეს ბრძოლა უდიდესი ბრძოლა იქნება ისტორიაში.

„ჰავასის სააგენტო“ იუწყება: ტოკიოში იაპონიის მთავარი შტაბი და სამხედრო წრეები დარწმუნებულნი არიან, რომ დიდი ბრძოლა ლიაოიანსა და ხაიჩენს შუა მოხდება სადმე, ალბად, სადგურ ანშანჩანთან და არა მუკდენთან, როგორც ევროპაში ჰგონიათო. („რ. ლ.“).

„დეილი ექსპრეს“-ის სამხედრო თანამშრომელი ამბობს, იქნება იაპონელებმა გზა მოუჭრან გენ. შტაკელბერგის კორპუსს და ლიაოიანისაკენ აღარ გაუშვანო. გენ. შტაკელბერგს ვერც ჯარს მიაშველებენ ლიაოიანიდან, რადგან ლიაოიანის პირ-და-პირ გენ. კუროკი დგას დიდის ჯარითა და არტილერიითაო.

ნიუ-ჩუანიდან დეპეშით ატყობინებენ „დეილი ექსპრეს“-ს: უცხოეთის სამხედრო აგენტები გენ. ოკუს არმიაში წავიდნენ, რომ მომავალ ბრძოლას დაესწრნენო.

ბერლინში ცნობა მიიღეს ინკოუდან: გენ. კუროკი 26 ვერსტის მანძილზე მიუახლოვდა ლიაოიანსაო. („ბ. ვ.“).

კობედან (იაპონიიდან) დეპეშა მოსულა ბერლინში: გენ. კუროპატკინმა ანშანჩანში, ლიაოიანსა და ხაიჩენს შუა, 7 დივიზია ჯარს მოუყარა თავიო.

ფრანგული გაზეთების პეტერბურგელი კორესპონდენტები ირწმუნებიან, გენ. კუროპატკინი ლიაოიანთან გენ. ბილდერლინგისა და სლუჩევსკის რაზმებს დასტოვებს, თითონ-კი უმთავრესის ჯარით გენ. ოკუსა და გენ. ნოძუს არმიებს დაეცემაო. კორესპონდენტები უმატებენ, გენ. კუროპატკინმა ეს საქმე დიდის ყოყმანის შემდეგ გაბედაო. („ნ. დ.“).

გერმანულ გაზეთებს კერძო ცნობა მოჰსვლიათ 25 ივლისს, ვითომ ლიაოიანს ახლო დიდი ბრძოლა დაიწყოო.

პოლკოვნიკი გედკე ლიაოიანიდან დეპეშით ატყობინებს „ბერლინერ ტაგებლატ“-ს: 25 ივლისს ხაიჩენის ჩრდილოეთით რუსის ჯარის დასავლეთის რაზმს გამწვავებული ბრძოლა ჰქონდა იაპონელებთან. ლიაოიანში დიდ-ძალი დაჭრილი მოჰყავთ. ხმა დადის, გენ. კუროკი მუკდენისაკენ გალაშქრებას აპირობსო. („ბ. ვ.“).

პორტ-არტური. ინგლისური გაზეთები იუწყებოდნენ, იაპონელებმა პორტ-არტურის წინ მაღალი გორები დაიჭირეს, ზედ დიდი ზარბაზნები დადგეს და ციხესა და ნავთსადგურს ზარბაზანი დაუშინესო. ეს ცნობა მართალი ყოფილა. გუშინდელ ოფიციალურ დეპეშაში ეწერა: იაპონელებმა 25 ივლისს აქეთ საალყე ზარბაზნები დაუშინეს პორტ-არტურის ნავთსადგურსაო. ეტყობა, რუსის ესკადრაც ამიტომ გასულა პორტ-არტურიდან.

ჩიფუში პორტ-არტურიდან ერთი რუსი, გვარად სერებრიანსკი, მისულა და უამბნია: იაპონელებმა მგლის გორა და მწვანე გორა („ვოლჩაია გორა“, „ზელენაია გორა“) დაიჭირესო. ეხლა მხოლოდ ციხის შიდა სიმაგრეები დარჩათ ასაღებიო.

„რეიტერის სააგენტო“ იუწყება: პორტ-არტურიდან გამოქცეულმა რუსებმა 22 ივლისს ჩიფუში ილაპარაკეს: იაპონიის ჯარმა პორტ-არტურთან მგლის გორაზე („ვოლჩაია გორა“) რუსის ფორტი დაიჭირა და ამ გორის წინ ველი გაამაგრა. ეს ველი სულ ერთის ვერსის მანძილზეა ციხიდან. იაპონელებმა ლუიზას ბუხტაში ჯარი გადაიყვანეს; უნდოდათ, რომ ციხეზე დასავლეთის მხრიდან მიიტანონ იერიშიო. („რ. ს.“).

„ტაიმს“-ი იუწყება: 23 და 24 ივლისს იაპონელები სრულ 50 საათს (ორ დღეღამეზე მეტს) განუწყვეტლივ ესროდნენ პორტ-არტურს ზარბაზანს. იაპონელებს მუდამ მაშველი ჯარი მოსდითო. („ბ. ვ“).

ფელეტონი

„ჩვენებური ინტელიგენცია*)

(„თხზულებანი ია ეკალაძისა“)

ასეთია ჩვენებური ინტელიგენცია. ასეთნაირად გვიხატავს მას ია ეკალაძე და თუმცა მის ნაწერებში არ არის სავსებით დასურათებული ინტელიგენციის მთელი ცხოვრება, მაგრამ მის გმირებს ახასიათებს ერთი საზოგადო თვისება—სულიერი უძლურობა და სიღატაკე, რომელსაც ყველაზე მეტი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. ჩვენ არ გვაინტერესებს ანდრია ავეიაშვილისა და ვანო ჩოფურაშვილისთანა ტიპები. მაგვარი ადამიანები საერთო მოვლენაა მრავალის სხვა და სხვა ქვეყნისა და ცხოვრებისათვის. ის კია, რომ ჩვენებურს ვითარებას ამ უზნეო მახინჯებისათვისაც თავისი განსაკუთრებული ელფერი მიუცია: მარტო ის კმარა აღვნიშნოთ, რომ ჩოფურაშვილი ყველაფერს ქართულს უარყოფს და თავს იმით იმართლებს, რომ მეცნიერებას ვემსახურებიო, რამდენი ამისთანა თავის გასამართლებელი საბუთი გაგვიგონია ჩვენში! რამდენი ვიცით ისეთი მაგალითი, რომ ვისმე უთვლად საზიზღარ საშუალებისთვის მიუმართავს და თავი მამულიშვილობით გაუმართლებია!

ჩვენებური ინტელიგენციის ასეთს თვისებებს რომ გამოვუდგეთ, ჩვენს წერილს დასასრული არ ექნება. ჩვენებური ინტელიგენციის ზნეობრივს სიმახინჯეს ვინ ჩამოსთვლის. ერთი ჩვენი პოეტისაგან ხშირად გაგვიგონია: რამდენად მაღლაა ჩვენი მდაბიო ხალხი, იმდენად დაცემულია ჩვენი ინტელიგენცია!—მართლაც ჩვენი ხალხი და ინტელიგენცია ერთი მეორის წინააღმდეგი პოლიუსია. ამასთანავე სრულიად ბრმა უნდა იყოს ადამიანი, რომ არ დაინახოს, რომ დიდი უმრავლესობა ჩვენებური ინტელიგენციისა, განათლებულის კლასისა მეტად საზიზღარი მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში. ბოლო დროს, მართალია, ჩნდება ერთნაირი, ახალი ინტელიგენცია, ხალხის მეგობარი, ხალხთან დაკავშირებული ინტელიგენცია, მაგრამ ჯერ-ჯერობით მისი რიცხვი ძლიერ მცირეა და იგი ვერ შესცვლის საერთო სურათს. ვიმეორებთ, აზრად არა გვაქვს გავარჩიოთ აქ ინტელიგენციის ყველა ნაკლულევანებანი. ჩვენ თავიდანვე მივაქციეთ ყურადღება ინტელიგენციის ერთს თვისებას—სულიერს სიბეჩავეს და უხასიათობას. ჩვენებური ინტელიგენცია ძლიერ სუსტად ცხოვრობს საზოგადოებრივის ცხოვრებით, სუსტად ჰგრძნობს ამ ცხოვრების მოძრაობას, არავითარი საზოგადო საქმისათვის გატაცებული არაა, არაფრისათვის თავის გაწირვა არ შეუძლია; ფიქრი ზოგიერთებს საქვეყნო საქმის გარშემო უტრიალებს, მაგრამ თუ რომელიმე მათგანი განიზრახავს მცირე რასამე გაკეთებას საზოგადოებისათვის, პირველივე სულ უბრალო დაბრკოლება ამარცხებს მას ან იგი შეშინებული დაუყოვნებლივ უკან იხევს. სად არის მიზეზი ამ უძლურობისა, უხასიათობისა, ნების ავადმყოფობისა? ეს არის საინტერესო საგანი.

ჩვენებური ინტელიგენტები ღვიძლი შვილები არიან დღევანდელი ჩვენი ვითარებისა, ერთი სული და ერთი ხორცია, შეგვიძლია თამამად ვსთქვათ ჩვენებური ინტელიგენციისა და ჩვენი თანამედროვე ცხოვრების შესახებ. ჩვენებური ინტელიგენციის თვისებები უნდა გამოვეძიოთ ეხლანდელის ცხოვრების პირობებში. ისე ძლიერ, ისე პირდაპირ არც ერთ კლასზე, არც ერთს წოდებაზე, არც ერთს წრეზე არ მოქმედობს დღევანდელი ჩვენი ცხოვრება, როგორც ინტელიგენციაზე. ყველაზე უფრო იმიტომ კი არ მოქმედობს, რომ ვითომც ეკონომიურად აუძლურებდეს დღევანდელი პირობები ინტელიგენციას. არა, პირიქით, ინტელიგენცია „ჩინოვნიკობით“ და სხვა-და-სხვა თავისუფალ პროფესიით ყველაზე უფრო სარგებლობს ეხლანდელის ცხოვრების ქონებით. დღევანდელი პირობები იმით მოქმედებს ინტელიგენციაზე, რომ ხელში ჩაჭერილი, დამონებული ჰყავს სულიერად, გონებრივად და ზნეობრივად ინტელიგენცია. გლეხი, მუშა, რასაკვირველია, დღეს ყველაზე მეტად ცუდს ქონებრივ მდგომარეობაშია, ერთიც და მეორეც იტანჯება ქონებრივად და (აქედან) იტანჯება სულიერადაც. მაგრამ არც ერთზე არა აქვს ისეთი პირდაპირი გავლენა დღევანდელს ვითარებას, როგორც ინტელიგენციაზე. არც ერთს არა აქვს ინტელიგენციასავით პირდაპირი კავშირი, დამოკიდებულება დღევანდელ პირობებთან, არც ერთი არ არის ისე დაახლოვებული დღევანდელ ვითარებასთან. ინტელიგენცია ნამდვილი არსებითი ნაწილია თანამედროვე პირობებისა, ისე შეეთვისა, შეესისხლხორცა უკანასკნელებს. ამ პირობების, ამ წესწყობილების ატმოსფერაში იზრდება ჩვენებური ინტელიგენცია, ამ ატმოსფერაში მოქმედებს, ცხოვრობს, ამ ატმოსფეროთ არის გაჟღენთილი მისი სისხლი და ხორცი. ამ სულიერის წრის გარეშე იგი უძლურია და გმირი უნდა იყოს ადამიანი, რომ თავი დააღწიოს, გავიდეს ამ წრიდან და სხვა ცხოვრება შეიძლოს.

გლეხი და მუშა თუ იჩაგრებიან ქონებრივად დღევანდელის ცხოვრების მიერ, ისინი მაინც ზნეობრივად შედარებით შორს რჩებიან უკანასკნელის გამათახსირებელ ზედ-გავლენისაგან. ჩვენებურს ინტელიგენციას ლუკმას აძლევს თანამედროვე ცხოვრება, მაგრამ სამაგიეროდ ინტელიგენცია მონაცაა ამ ცხოვრებისა.

თვალი გადავავლოთ, რა პირობებში გაიზარდნენ ია ეკალაძის ინტელიგენტები. აი ის სკოლა და მასწავლებლები, სადაც და რომელთა ხელმძღვანელობით იზრდებოდნენ ისინი: „მასწავლებლები, თითქმის ყველა ჯოხს-ქვეშ იყო გატარებული, ყვირილ-შტიალით აღზრდილი და ყვედრება-მუქარით გამოკვებილი. რაც თვითონ გადახედოდათ, სხვისაგანაც იმას თხოულობდნენ. მაგირდობის დროს თითონ რომ დამცირებულნი, უფროსის ფეხის ნატერფალნი, ყოველის მხრით გზა შეკრულები ყოფილან, დღეს ჯავრს თავის მოწაფეებზე ჰყრიდობდნენ. ამათ უხდიდნენ თავისი მასწავლებლების სამაგიეროსა. გარდა ამისა, ამათ თავიდანვე ყურში ჩაწვეთებული ჰქონდათ, რომ თუ მოწაფეს გაჭირვება, შევიწროება არ მიაყენე, შემდეგში გაგითამამდება და ცხოვრებაში მეტისმეტი გალაღებული იქმნებაო. კიდეც ამ მიზეზით შეზღუდულ სწავლის წესდებით ხელმძღვანელობდნენ და მომაკვდინებელ ცოდვადაც მიაჩნდათ ამ წესდების დარღვევა: ვაი იმ მოწაფის ბრალი, ვინც ცოტა თავისუფლების მოყვარეობას გამოიჩენდა; ამგვარის მოწაფეს გამოისობით ისეთი ალიაქოთი აუტეხებოდათ ხოლმე, გეგონებოდათ ჩინეთის კედლები დაინგრა, ან ღვთის რისხვა მოევლინა არაკულ ქვეყანასო... „სათნოება“ და მოთმინება, მორჩილება და მონობა, ბატონობა და უმობა, აი ჭკუა და აი გონება იმათი ზნეობა-გონებრივ ავლა-დიდებისა“. მასწავლებელნი და მოწაფენი, ერთმანეთს თხა და მგელსავით უცქეროდნენ. ერთმანეთი სძულდათ. მასწავლებლები სრულებით არ ჰფიქრობდნენ, ჭეშმარიტი ცოდნა გადაეცათ მოწაფეებთათვის, ჩაენერგათ გულში მათთვის ღრმა სიყვარული ამ ცოდნისა, ჩაენერგათ მათ ნორჩ სულში ადამიანური გრძნობები და მისწრაფებანი. მასწავლებელნი თავის პირად დაწინაურებაზე ზრუნავდნენ და საშუალებად ამ დაწინაურებისათვის მიაჩნდათ შეგირდების სულიერად დასახიჩრება და დამონება. მათ მხოლოდ ის მოწაფე უყვარდათ, ვინც ფეხს ულოკავდა მათ, ვინც მათი ყურ-მოჭრილი ემსახურებოდა. მოსწავლენიც ცდილობდნენ, შეთვისებოდნენ მასწავლებლების ხასიათს. უაზროდ იზეპირებდნენ გაკვეთილებს და მარტო ნიშნების დარდი ჰქონდათ. მოსწავლეთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომელნიც მასწავლებლის მიერ წაქეზებულნი უღვიძგარ სიცრუეს, ფლიდობას, ჯაშუშობას, ბეზღობას, მტრობას და ქვეშძრომობას სწავლობდნენ. არა ერთი დაჯილდოვე-

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2564.

„ჰავასის სააგენტო“-ს კორესპონდენტი ტიანძინიდან დეპეშით ატყობინებს ფრანგულ გაზეთებს: იაპონიის ჯარს ტოკიოდან ბრძანება მოუვიდა, რაც შეიძლება ფრთხილად მოიქეცით, რომ დიდი ზარალი არ მოგივიდეთო. („რ. ლ.“).

ახალი ამბავი

◆ როგორც „კავკაზ“-ი გადმოგვცემს, შინაგან საქმეთა სამინისტროს უკვე განუხილავს წესდება ტფილისში განზრახულ **ქართულ საფილარმონიო საზოგადოებისა.** სამინისტროს წესდება შეუსწორებია და მთავარ-მართებლის კანცელარიისთვის გამოუგზავნია. წესდება დამაარსებელთ გადაეცემათ იმის გასაგებად, ჰსურთ თუ არა ამ შესწორებულ წესდების თანახმად საზოგადოების დაარსება.

◆ ფოთის ქალაქის თვით-მმართველობას, როგორც კავკასიის ოფიციალური გაზეთი გადმოგვცემს, აზრადა აქვს **ორი საყურადღებო შუამდგომლობა** აღძრას. ერთი შეეხება ფოთსა და თეოდოსიის შორის სამგზავრო გემების პირდაპირ მიმოსვლის დაწესებას. თუ ეს მოხერხდა და თუ რუსის სანაოსნო საზოგადოებამ ამ ადგილას მსწრაფლ-მოსიარულე გემები დანიშნა, პეტერბურგსა და ტფილისს შუა გზა ძალიან შემოკლდება, სახელდობრ, ოთხ დღეში შეიძლება პეტერბურგში ასვლა. მეორე შუამდგომლობა შეეხება სამტრედიიდან ფოთამდე გადასაზიდ საქონელზე ტარიფის შემცირებას. დღეს ერთნაირი ტარიფია როგორც სამტრედიიდან ფოთამდე, ისე სამტრედიიდან ბათუმამდე, თუმცა ეს მეორე გზა ბევრად უფრო მოკლეა.

◆ ტფილისის ქალაქის მოურავის მოადგილემ წარუდგინა გუბერნატორს ქალაქის საბჭოს დადგენილება **ავლაბარში სამშობიარო სახლის** იგების შესახებ.

◆ **„ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების“** რონინაშვილისეული ფოტოგრაფია ამ დღეებში იჯარით აიღო რუსეთიდან ჩამოსულმა ფოტოგრაფმა ბასევიჩმა.

◆ რადგან სათანადო მთავრობამ კიდევ განუმეორა ტფილისის მოქალაქეთა გამგეობას, დაიჩქარონ **სახელმწიფო და საზოგადო გადასახადების** მოკრება, გამგეობამ შეადგინა სია იმათი, ვისზედაც დიდი ხნის ფულია დარჩენილი და წარუდგინა პოლიცმეისტერს. გამგეობა სთხოვს პოლიციას, დახმარება გაუწიოს და მოვალეებს გადაახდევინოს დარჩენილი ფული.

◆ ტფილისის **მოქალაქეთა გამგეობამ** 1 აგვისტოდან მოიწვია რამდენიმე „დესიატნიკი“ გადასახადთა ამკრებ მამასახლისის დასახმარებლად. „დესიატნიკებისთვის“ გამგეობამ გადასდო 1440 მანეთი.

◆ **ტფილისის მეპურეებმა** სთხოვეს თავიანთ უსტაბაშს, დანიშნოს მეპურეთა კრება განსაკუთრებულ კომისიის ასარჩევად. ამ კომისიამ უნდა შეიმუშაოს საქმე მეპურეთა მიერ განზრახულ ფქვილისა და შეშის საწყობის გამართვის შესახებ. ამასთან მეპურეებმა სთხოვეს უსტაბაშს, საწყობის გასამართავად ამხანაგობაში ისეთებმა მიიღონ მონაწილეობა, რომელთაც საკუთარი პურის საცხობები აქვთ და პაის ფულიც 50 მანეთის ნაცვლად 100 მანეთი იყოს.

◆ ტფილისის საბაღოსნო სასწავლებლის **უკანასკნელ კლასის მოსწავლენი** მომავალ კვირაში სკოლის გამგის ხუნდაძის ხელმძღვანელობით გაემგზავრებიან საქარის სანერგეს დასათვალიერებლად და შემდეგ ჩაქვაში წავლენ ჩაის პლანტაციების გასაცნობად.

◆ **ტფილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის** მოსამზადებელ კლასის უმცროს განყოფილებასა და პირველ კლასში მისაღები ეგზამენები მოხდება 23 აგვისტოს. დანარჩენ კლასებში თავისუფალი ადგილები არ არის. განმეორებითი ეგზამენები მოსწავლეებისა დაიწყება აგრეთვე 23 აგვისტოს. ამ გიმნაზიის დირექტორი აცხადებს, რომ იმ მოსწავლეთ, რომელთაც ქალაქში დედ-მამა არა ჰყავთ, უნდა იცხოვრონ საპედაგოგო საბჭოს მიერ ნება დართულს ოჯახებში.

◆ 30 ივლისს, ტფ. ქალაქის გამგეობის სადგომში, გუბერნატორის თავმჯდომარეობით, კრება ჰქონდა ქალაქის სასანიტარო კომისიას. მსჯელობის საგანი პაპკოვის წისქვილი და მტკვრის პატარა ტოტი იყო. დღემდე ვერაფერი უშველეს ამ ტოტის დასუფთავებას. ეხლა კრება იმ აზრს დაადგა, რომ **ტოტი უსათუოდ მიწით უნდა ამოივსოს.** ამ საგნის გადასაწყვეტად 4 აგვისტოსთვის დაინიშნა ქალაქის საბჭოს საგანგებო კრება.

◆ ტფილისის სამაზრო სასანიტარო კომისია ამ დღეებში დაივლის მაზრის უფრო დასახლებულ ადგილებს და შესაფერ განკარგულებას მოახდენს **სოფლების სანიტარულ მდგომარეობის** გასაუმჯობესებლად.

◆ ტფილისის **საგუბერნიო სასანიტარო კომისიამ** 30 ივლისს განიხილა მაზრების სასანიტარო კომისიების მოხსენებანი და სხდომების ოქმები მოქმედების დაწყების შესახებ. ამავე სხდომაზედ კომისიამ მოისმინა მოწერილობა რკინის გზის გამგეობისა, რომელიც სახელოსნოების არხის გადაკეთებას ჰპირდება.

◆ ტფილისის საგუბერნიო სამკურნალო გამგეობამ დაავალა ტფილისის გუბერნიის **მომრიგებელ-შუამავლებს**, იმათაც მონაწილეობა მიიღონ მაზრის სასანიტარო კომისიების საქმეებში.

◆ მამა-დავითის ტაძრის სამრევლოს სამზრუნველომ სთხოვა გუშინ ქალაქის გამგეობას, **შეაკეთონ ეკკლესიამდე მისასვლელი გზა**, რომელიც ნიაღვრებისაგან მინგრეულ-მონგრეულია თურმე.

◆ მკითხველებს, ეჭვი არ არის, ეცოდინებათ, რომ ტფილისის გუბერნიაში საზოგადოდ და ტფილისის მაზრაში —კერძოდ მეაბრეშუმეობას თითქმის სულ არ მისდევენ. წელს თონეთის სკოლის მასწავლებელს ბ-ნ აგლაძეს მანგლისის მხარეს უცდია აბრეშუმის მოყვანა და კარგიც გამოსულა. პარკი ხსენებულ მასწავლებელს კავ. საბრეშუმო სადგურისთვის წარუდგენია. ამ ადგილმა მეაბრეშუმეობას კარგი ნიადაგი აქვს თურმე, სამწუხაროდ, თუთის ხე ძალიან ძნელი საშოვნელია.

◆ როგორც ტფილისის მაზრის სოფელ პატარძეულიდან გვატყობინებენ, ამ სოფლის მცხოვრებს პავლე ყუშატაშვილს თავის ხარჯით თავისსავე ადგილზე პატარძეულის ბიბლიოთეკა-სამკითხველოსათვის საკუთარი სახლი უშენებია.

◆ დღეს, 1 აგვისტოსთვის, ტფილისის ქალაქის გამგეობაში დანიშნულია მესამე საობლიგაციო სესხის ტირაჟი 9500 მანეთის ობლიგაციის გასანაღდებლად.

◆ ხვალ, 2 აგვისტოს, ტფილისის საბჭოს დარბაზში სხდომა ექნებათ ქალაქის სასანიტარო მზრუნველებს.

დღევანდელ ნომერთან ერთად ხელის მომწერთ ურიგდებათ **სურათებიანი დამატება №-241.** შინაარსი: „ლი“, ჩინური ამბავი დოროშევიჩისა, თარგ. გ-ნ იედილის მიერ, სურათები: ხახულის ღვთისმშობლის უძვირფასესი ხატი გელათის მონასტერში, ვაფანგოუს ბრძოლაში მოკლული პოდპოლკოვნიკი აბულაძე, იაპონელების იერიში, მეომარი ქალი, „ძველ რომაელ მანდილოსანთა თავის გართობა“, „ზაფხულის სიცხე“,— სურ. კემმერერისა და ოთხი კარიკატურა.

რუსეთის ქრონიკა

◆ გაზ. „სლოვო“-ს სიტყვით, ამ ჟამად ვარშავაში 20 ათასი ებრაელი მუშაა უსაქმოთ და ულუკმა-პუროდ დარჩენილი.

◆ ქ. ხარკოვსაც ძლიერ დასტყობია რუსეთ-იაპონიის ომი. აქამდის უკვე 20-მდე საგალანტერიო და სამანუფაქტურო ფირმა დახურულა. ყველა ქესატობას სჩივის.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტროში აღუძრავთ შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ მოსკოვსა, ხარკოვსა, ადესასა, კიევსა და ყაზანში სადგომების დამქირავებელთ უფლება მიეცეთ, სახლის პატრონთა მსგავსად, არჩეულ იქნენ ხმოსნებად ქალაქის საბჭოში.

◆ ადესიდან უფასო ბილეთებით ჰგზავნიან სამშობლოში უსაქმოდ დარჩენილ მუშებს.

◆ ნიჟეგოროდის ბაზრობას აქამდის ვაჭარ-მექარხნეთა მცირე რიცხვი სტუმრებია. ვაჭრები ქესატობას სჩივიან. შარშანდელთან შედარებით წელს ერთი-ორად უფრო ნაკლებია აღებ-მიცემობა...

◆ ამას წინად დეპეშით იუწყებოდნენ, რომ ქ. ბელოსტოკში წვიმასთან ერთად პატარა თევზები ცვიოდნენ მიწაზეო. ახლა გამორკვეულა, რომ ეს თევზები ერთ ადგილობრივ სახლის პატრონის ბაღში უპოვიათ და ნამდვილად არ იციან, საიდან გაჩნდნენ ისინი, მით უმეტეს, რომ ეს თევზები მცხოვრებთათვის უცნობ ჯიშისა ყოფილან.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

30 ივლისი

პეტერბურგი. „მისი უდიდებულესობა დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული 30 ივლისს ნაშუადღევის 1 საათს და 15 წუთზე კეთილად განთავისუფლდა ფეხმძიმობისაგან და ეყოლა ვაჟი, მემკვიდრე ცესარევიჩი და დიდი მთავარი, რომელსაც წმიდა ლოცვის დროს სახელად ეწოდა ალექსეი. პეტერგოფი“. ხელი მოაწერა საიმპერატორო კარის მინისტრმა გენერალ-ადიუტანტმა ბარონმა ფრედერიქსმა.—ბიულეტენი: „მისი უდიდებულესობა დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული 30 ივლისს, 1 საათსა და 15 წუთზე, კეთილად განთავისუფლდა ფეხმძიმობისაგან და ეყოლა ვაჟი, მემკვიდრე ცესარევიჩი და დიდი მთავარი, რომელსაც წმ. ლოცვას დროს სახელად ეწოდა ალექსეი. მისი იმპერატორებითი უდიდებულესობა დედოფალი და მაღალ-ახლად-დაბადებული კარგად ბრძანდებიან“. ხელი მოაწერეს: ლეიბ-აკუშერი დმ. ოტი, ლეიბ-ქირურგი გირში, პეტერგოფი, 30 ივლისი, 1904 წელი“.

ბაა მასწავლებელს ხერხიანი ჯაშუშობისათვის.

ასეთი იყო სკოლა, რომელსაც უმთავრეს საგნად ჰქონდა ადამიანობის აღმოფხვრა მოსწავლის გულიდან, ყოველივე დამოუკიდებლობის მოსპობა და ნების მოშხამვა. ვინ იცის, რამდენი მაღალი გონების და კეთილშობილის გულის ბავშვი შევიდა ამ სკოლაში, მაგრამ ერთიც-კი არ გამოსულა იქიდან ჯანსაღი: ზოგნი სრულიად მკვდარნი განშორდნენ სკოლას, ზოგნი-კი დაავადმყოფებულები და დაუძლურებულები! იმგვარის ბუნების უნდა იყოს ბავშვი, რომ 8—9 ლის სკოლის რეჟიმმა თავისებურად არ შესცვალოს მისი გონება და ხასიათი. უპირველესად სკოლას ნიშანში აქვს ამოღებული მოსწავლის ნება, ხასიათი. სკოლა იმას-კი არ ცდილობს, რომ აღზარდოს მოსწავლეში შრომის სურვილი, ინიციატივა, თვითმოქმედება. პირიქით, სულ იმის ცდაშია, რომ როგორმე მოსპოს ნების ყოველივე ნასახი. გარდა იმისა, რომ პირდაპირ დევნილია თვითმოქმედება და დამოუკიდებლობა, სკოლიდან გამოდევნილია ისეთი საგნები, რომელთაც დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს ამ მხრივ, და რასაც ასწავლიან, ასწავლიან მექანიკურად, ასწავლიან ადამიანებს-კი არა, არამედ თითქოს მათ წინაშე უსულო ტიკინები იყვნენ. სკოლა აძლევს მოსწავლეს მარტო ცოდნას, მაგრამ ცოდნას მშრალს, უდეოს, უდეალოს. ხოლო ეს ცოდნაც გამოუსადეგარია უმრავლეს შემთხვევაში ჩვენის სკოლის შაგირდისათვის. უხასიათო, ნებით უძლური ადამიანი, როგორიც გამოდის დღევანდელი ახალთაობა სკოლიდან, არამც თუ ვერ აკეთებს, რაც იცის, შეუგნია, სასურველად მიაჩნია, მასში გარდა ამისა ხდება ისეთი მეტად საინტერესო ფსიხოლოგიური პროცესი, რომ შეგნებული შეუგნებლად გადაიქცევა და სასურველი არა-სასურველად; შეიგნო, მაგრამ უძლური ნება არ იჩენს აქტიურობას, მასში არ არის სიტყვის და ფიქრის გარდამქნელი ძალა. მასში შეგნება და ნება ერთმანეთს ებრძვიან. მხოლოდ ეს ბრძოლა დიდხანს ვერ გასტანს. ათ შემთხვევაში ცხრაჯერ შეგნებისათვის შეუძლებელია, გამოიყვანოს ნება პასსივურ მდგომარეობიდან, პირიქით, თვითნებას გადაჰყავს თავისკენ შეგნება, შეაცდენს მას შეხედულებას და ის, რაც წინად სასურველი იყო, მაგრამ შეუძლებელი, შეიქნება ეხლა არა სასურველად და არა შესაძლებლად...

კიდევ უარესი იქნება იმ მოსწავლის მდგომარეობა, რომლის მშობლები ჩვენებურ ინტელიგენტურ წრეს ეკუთვნიან და მოსწავლე ოჯახშიაც ირგვლივ მხოლოდ შიშს, ძრწოლას და მორჩილებას ხედავს. რასაკვირველია, ამგვარ სკოლის და ოჯახის ატმოსფერაში აღზრდილი ადამიანი გამოვა უცოდინარი და უძლური. იგი მოკლებული იქნება ჭეშმარიტ განათლებას, დაუძლურებული იქნება სულით, უნიჭო იქნება მოქმედების და ბრძოლისათვის, მას არ ექნება თავისი „მე“ და სიკვდილამდის დარჩება პატალოგიურ მოვლენად ცხოვრებაში.

ამგვარად მომზადებული და აღზრდილი მიადგება ჩვენებური ინტელიგენტი ცხოვრების კარებს, რომ საკუთარი არსებობა დაიწყოს, თვითონაც გაერიოს ცხოვრებაში. მისთვის, უეჭველია, საუკეთესო შესაფერი ასპარეზია სამსახური ან ისეთი ვითომდა თავისუფალი პროფესია, რომელიც არაფრით არ განირჩევა სამსახურისაგან. მერე როგორს სულიერს წრეს წარმოადგენს ის ასპარეზი, სადაც მოუხდება მოქმედება (სამსახური) ჩვენებურს ინტელიგენტს? აქ განვიმეორებთ, რასაც ვწერდით წინად: ჩვენებურ ინტელიგენტის „ჩინოვნიკის“ „მუშაობა და მოღვაწეობა სასტიკად განსაზღვრულ კალაპოტში სწარმოებს; რასაც მისი გონება შეიმუშავებს, წარმოშობს, უთუოდ უკვე გამორკვეულ და შემუშავებულ ფორმაში უნდა გადაედინოს. მისი ადამიანებთან ურთიერთობა გამოიხატება, როგორც „ოტნოშენიე“, „დონესენიე“ და „რაპორტი“; სხვა ყოველსავე კავშირს და დამოკიდებულებას მთლად ეკარგება ფასი. აზრი არსებობს მისთვის, როგორც ამა თუ იმ ქაღალდის ფორმა, ადამიანი, როგორც ამა თუ იმ თანამდებობის და ხარისხის პირი. ამას დავუმატოთ უფროსების მორჩილება, მათი პატარა ღმერთებად გადაქცევა,—და წინ დაგვეხატება ის წრე, რომელშიაც ტრიალებს მოხელე და რომელიც ბეჭედს ასვამს მის გარეგან ფიზიონომიასაც კი“. მორჩილებას და მოთმენას თუ ასწავლიდნენ ჩვენებურს ინტელიგენტს სკოლაში, ყველაფერი ეს კარგად გამოადგება ეხლა. მისი ცხოვრება სხვა არა არის რა ახლა. მისი დაწინაურება მხოლოდ ამაზეა დამოკიდებული. მორჩილება უდიდესი პრინციპია, რომელზედაც დამყარებულია ყოველგვარი ავი და კაი. ინტელიგენტი უნებურად გამსჭვალულია ამ რწმენით. მორჩილებაზეა აგებული მისი საქმეები და ფიქრებიც. ასეთი არიან სხვა-და-სხვა გვარის და დარგის „ჩინოვნიკები“, ასეთი არიან ის „თავისუფალი პროფესიის“ ადვოკატები და ექიმებიც, რომელნიც პირ-და პირ დაკავშირებულნი არიან პირველებთან. .

თუ ამ გვარია ჩვენებური ინტელიგენტის სამსახური, ამგვარსავე წრეში მიმდინარეობს მისი გარეშე ცხოვრებაც. სამსახურის პრინციპები შემოაქვს ინტელიგენტს ოჯახშიაც: მისი ცოლთან და შვილებთან დამოკიდებულება ბატონ-ყმურია, მას სძაგს თავისუფლება და თვით-მოქმედება, როგორც შვილის, ისე ცოლის. ჩვენებური ინტელიგენტი დადის საზოგადოებაში, წევრია საზოგადოებისა და ეს საზოგადოებაც მის მსგავს პირებისაგან შესდგება და აქაც იგივე ატმოსფერაა დამყარებული, აქაც არ არის თავისუფალი, დამოუკიდებელი ჰაერი, აქაც არ ისმის დამოუკიდებელი სიტყვა, არა სცემს გაბედული გული. სადაც უნდა გაიაროს ჩვენებურმა ინტელიგენტმა, უმთავრესად თავისიანებს ხვდება, ერთნაირი სიტყვა ესმის იმათგან, ასეთი, როგორც მათ ესმისთ მისგან. ჩვენებური ინტელიგენტი ყველგან ერთს მკვდარს წრეს ხვდება, რომელსაც შეჰკრა, რომლითაც კმაყოფილია.

ამ გვარის წრის ადამიანი თუ ხან-და ხან „შეცდება“ და მოინდომებს, რაიმე საქვეყნო საქმეში მიიღოს მონაწილეობა, აშკარაა, რომ იქაც თავის პრინციპებს გადაიტანს. კიდეც რომ უნდოდეს, სხვაფრივ ვერ მოიქცევა. მაგრამ იგი უფრო სრულიად შეუგნებლად ახალს ასპარეზზე რჩება იმავე მონა, უხასიათო, უძლურ ინტელიგენტად. საზოგადოთ მას სუსტად შესტკივა გული საზოგადო ინტერესისათვის, მაგრამ თუ რამე გაიტაცებს, მალე დაიხევს უკან შეშინებული და დამარცხებული. ჩვენებურ ინტელიგენტს არა აქვს თავის თავის იმედი (თვითმოქმედების და ინიციატივის ნიჭი მოუკლეს), მუდამ შიშშია, ვერ ბედავს დაიწყოს საქმე. თუ დაიწყებს, არ შეუძლია, თავი შესწიროს მას, მუდამ კანკალებს სულ მცირე რამ რომ გააკეთოს, ჰგონია, ქვეყანა გადააბრუნა და ჰგონია ისიც, რომ ცხრა მთის იქით გადაკარგავენ...

ჩვენ გავითვალისწინეთ ის წრე, რომელშიაც იზრდება ჩვენებური ინტელიგენცია, ის პირობები, რომელთაგან წარმოსდგება მისი უძლურება და სილატაკე. ჩვენთვის ნათელია ეხლა, თუ რისთვისაა ჩვენებური ინტელიგენტი უმოქმედო, მხდალი, ლაჩარი, გაუბედავი, მოკლებული თავმოყვარეობას და პიროვნებას. აშკარაა, რომ დღევანდელი ცხოვრება (დღევანდელ ცხოვრების პირობები), რომელიც აძლევს ინტელიგენციას ლუკმას, იგივე ცხოვრება ართმევს მას სულსა და გულს...

ჩვენებური ინტელიგენციის გასაცნობად საჭიროა დავუპირ-და-პიროთ მას ჩვენებური გლეხი. ამ საგანს ჩვენ დავუბრუნდებით შემდეგში ერთი ჩვენი ნიჭიერი მწერლის ნაწერების განხილვის დროს.

კალამი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

31 ივლისი

ბერლინი. ბრემერჰეფერიდან დეპეშით იუწყებიან, მსწრაფლ-მავალი გემი „ჩრდილოეთ გერმანიის ლლოიდისა", სახელად „ლან"-ი, იყიდა რუსეთის ერთმა კერძო პირმა. პარიზში ამბავი მიიღეს, რომ იაპონიის გემები უდარაჯებენ ცზიაჯოუს ნავთსადგურთან იქ შეფარებული რუსის გემებს.

კელნი. ბერლინიდან იუწყებიან, მართალია ის ამბავი, რომ რუსეთის სამხედრო გემები პორტ-არტურთან ბრძოლის შემდეგ ცინდაოს მივიდნენო. როგორც ფიქრობენ, და ეს თავის-თავადაც ცხადი, ციაჯოუს გუბერნატორი მტკიცედ აასრულებს ნეიტრალიტეტის პრინციპს.

ჩიფუ. („რეიტ. სააგ."). ჯერ ნამდვილად არ იციან, რომელი სამხედრო გემები მოვიდა ცინდაოს. როგორც სჩანს, ერთი მათგანი—„ცესარევიჩი" უნდა იყოს, ან არა და ამ გემის მაგვარი. ორ გემს და ერთ კონტრ-ნაღმიან გემს კარდიფის ნახშირი მოაქვთ. ერთი კრეისერი და ერთი კონტრ-ნაღმიანი გემი შანჰაის უახლოვდება. ესკადრის ერთი ნაწილი პორტ-არტურს დაბრუნდა.

ტოკიო. („ვოლფის სააგ."). ოფიციალური ცნობა. აქ მიღებულ ცნობების თანახმად, რუსის ესკადრა პორტ-არტურიდან გამოვიდა. ჩიფუს სამხრეთით ამ ესკადრას თავს დაეცა იაპონიის ფლოტი და გაჰფანტა. კრეისერები „ასკოლდ"-ი, „ნოვიკ"-ი და მესამე კრეისერი, აგრეთვე ერთი კონტრ-ნაღმიანი გემი 29 ივლისს სცდილობდნენ ციაოჯაუს ბუხტაში შესვლას და იქ თავის შეფარებას. მეორე კონტრ-ნაღმიანი გემი ჩიფუში შევიდა. რუსის ჯავშნიანი გემები, რიცხვით ხუთი და ერთი კრეისერი, უთუოდ „დიანა", გემი-საავადმყოფო და რამდენიმე კონტრ-ნაღმიანი გემი, ვგონებთ, 29 ივლისს ისევ პორტ-არტურს დაბრუნდნენ. ჰფიქრობენ, რომ იაპონიის ფლოტი არ დაზარალებულა.

შანჰაი. („რეიტ. სააგ."). 30 ივლისს აქ მოვიდა რუსის ერთი კონტრ-ნაღმიანი გემი. ამ გემის ზღვაოსნებმა სთქვეს, რომ რუსის ოთხმა ჯავშნიანმა გემმა გაიარა კუნძულ სადლის პირდაპირ, შანჰაის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

ნიუ-იორკი. (სააგ. საკ. კორესპ.). ჩიფუდან მიღებულ „ასოსიეტ. პრესს"-ის დეპეშაში აწერილია ის, თუ იაპონიის კონტრ-ნაღმიანი გემები როგორ მიუახლოვდნენ რუსის გემს „რეშიტელნი"ს და შეიპყრეს იგი. დეპეშაში ნათქვამია, თუმცა იაპონიის ელჩმა განაცხადა, რომ იაპონიის კონტრ-ნაღმიანმა გემებმა არ იცოდნენ, თუ „რეშიტელნი"-ს იარაღი ჰქონდა აყრილიო, მაგრამ კორესპონდენტმა თვით გამოგზავნა ამბავი იარაღის აყრის შესახებ.

31 ივლისი

სარატოვი. სარატოვს, ცარიცინსა, ვოლსკში და ვოლგას ნაპირებზე მდებარე მაზრებში ხოლერის საწინააღმდეგო ზომების მისაღებად შესდგა სასანიტარო კომისიები. მთავრობამ ამ კომისიებს 40,000 მანეთი გადასცა. 8 ადგილას საავადმყოფო გაიმართება.

ოდესა. უეცრად გარდაიცვალა გრადონაჩალნიკის თანაშემწე სტარკოვი.

ბერლინი. ტახტის მემკვიდრის დაბადების ამბავი აქ ორ საათზე მოვიდა. „რუსეთის დეპეშათა სააგენტო"-ს ცნობა გაზეთებმა მაშინვე ცალკე დამატებად გამოსცეს.—„ნორდდოიჩე ალგემაინ ცაიტუნგ"-ი სწერს, რომ გერმანიაში ბევრი წრეები სიხარულით მიეგებებიან ამ ამბავს და რუსის ხალხთან ერთად ბედნიერებას უსურვებენ უავგუსტოეს ახლად შობილსაო.—„ლოკალ ანცაიგერ"-ი სწერს: „რუსის ხალხი ამ მძიმე დროს განსაკუთრებულის სიხარულით მიეგებება ტახტის მემკვიდრის დაბადებას, ვით ისეთს მოვლენას, რომელსაც პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს". „ბერლ. ტაგ."-ი ამბობს: „მემკვიდრის დაბადება სასიხარულოა არა მარტო სამეფო ოჯახისათვის. რუსეთში მემკვიდრის დაბადებას, რომელსაც დიდი ხანია მოელიან, ჩასთვლიან შორეულ-აღმოსავლეთის ომის კეთილად დამთავრების მომასწავებლად და ნიშნად ზეგარდმო მოვლენილ კურთხევად რომანოვების სამეფო სახლზე".

სმირნა. („რეიტ. სააგ."). 30 ივლისს აქ მოვიდა და დადგა სამ გემისაგან შემდგარი ამერიკის ესკადრა.

სტამბოლი. („კორესპ. ბიურო"). ამერიკის საპასუხოდ, პორტამ სიტყვიერად დაარწმუნა, დავაკმაყოფილებ თქვენ მოთხოვნილებათაო. თუმცა ამ სიტყვიერ რწმუნებას საკმარისად არა სთვლიან, მაინც ჰფიქრობენ, რომ უთანხმოება მალე დასრულდება. შეერთებულ შტატების სურვილის თანახმად, გავრცელებული ხმების წინააღმდეგ, ამერიკის აქაური მისსია აცხადებს, ამერიკის მოთხოვნილებათ არავითარი კავშირი არა აქვთ სომხების საქმეებთანაო.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ტფილისის დურგალთა ამხანაგობის

მორიგი კრება

დანიშნულია კვირისათვის, 1 მარიამობისთვეს 1904 წ. საამხანაგო **ქარხანაში,** ელიზავეტის ქუჩაზე **„ვერსალ"-ის** სასტუმროს პირდაპირ, სახლი № 25.

განსახილველი საგნები:

1. განხილვა და დამტკიცება ამა წლის პირველ ნახევარი წლის ანგარიშისა.
2. მოხსენება გამგეობის თავმჯდომარისა ამხანაგობის საქმეების გაუმჯობესობისა გამო.
3. განხილვა წევრთაგან წარმოდგენილ განცხადებათა.
4. არჩევანი ახალ წევრთა.

გამგეობის თავმჯდომარე გრ. თოიძე.

გამოვიდა ახალი

კატალოგი

„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" წიგნის მაღაზიისა.

მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ უფასოდ ქართულ წიგნის მაღაზიებში. (3—უ—1)

„გუტენბერგი"-ს

წიგნის მაღაზიაში ტფილისს, სასახლისა და შტაბის ქუჩებზე, **იყიდება:** „Къ вопросу о Кахетинскихъ винахъ" (მასალა კახურ ღვინის ტიპის შესამუშავებლად). წიგნს თან დართული აქვს **გეოგრაფიული კარტა კახეთისა.** ფასი 1 მან. 25 კაპ. გაგზავნით 1 მ. 50 კაპ. იქვე იყიდება სასწავლო და სხვა წიგნები. ვინც მრავლად იყიდის, ნაკლებ ფასად დაეთმობა. (2—2)

საუკეთესოდ მოწყობილი

ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა

წიგ. გამ.ქართ. ამხანაგობისა.

ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.

პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

„ცოდნა" ქართული წიგნის მაღაზია

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები.

მიზანი „ცოდნის" მაღაზიისა არის გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასთვის ხელ-მისაწდომ წიგნებისა. **მსურველთ** წიგნები ეგზავნებათ ფას დადებითაც.

იყიდება დასურათებული **ღია ბარათები** ჩვენ **მწერალთა** და **მსახიობთა.** ფასი თითო 5 კაპ

ადრესი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА".

(50—29). წიგნის მაღაზიის გამგე **სოსიკო მერკვილაძე.**

ტრიოხგორნი ლუდხანის ამხანაგობა მოსკოვში

ყოველ დღე ამზადებს 3,500,000 ვედრა საუკეთესო ხარისხის ლუდს, რომელიც დაჯილდოვებულ იქმნა სახელმწიფო გერბით 1882 და 1896 წ. წ. გამოფენაზე. ამხანაგობა ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ განიზრახა ყოველ დღე მიაწოდოს ადგილობრივ მომხმარებელთ ახლად დამზადებული ლუდი რაც შეიძლება ნაკლებ ფასად და ამიტომ დააწესა ლუდის გამოგზავნა ტფილისში საკუთარ საყინულე-ვაგონებით. ტფილისში ნარდათ სავაჭრო ცენტრალური საწყობი ურჩევ მსურველთ იყიდონ ხოლმე უმაღლეს ხარისხის ლუდი:

სუფრაზე სახმარებელი (თეთრი) დაწყებ. ფასი მაღაზ. 15 კაპ. ბოთლი (1/20) უწურწლოდ.

კულმბახის (შავი) „ „ „ 16 „ „ „ „

ბოთლები ფირმისა სახელმწიფო გერბით არის, კაპსიულებით. ცენტრალურ საწყობის კანტორა თავის თავზ იღებს ლუდის სახლში მიტანას: სუფრაზე სახმარებლისა 14 კაპ. ბოთლი, კულმბახისა 15 კაპ. ბოთლი (1/2 ვედრისა), ჰურჰლის ბე 6 კაპ.

ადრესი: პუშკინის ქუჩა, № 11, წურინოვის პასსაჟი. **ტელეფონი № 1013.**

შენიშვნა: ტფილისს გარეშე მყიდველთ, თუ მოისურვებენ, ლუდი გაეგზავნებათ პასტერის სისტემით დაწმენდილი (ექსპორტ) და ღვინის ჰურჰლებში ჩასხმული. (50—35—31)

ფირფიტები აპარატები

უმაღლესის ხარისხისა

ყველას აკრავს ფაბრიკის მარკა **„მწერალი ამური".**

კავკასიის უმთავრესი სააგენტო

სააქციონერო საზოგადოებისა გრამმოფონი

ტფილისი, გოლოვინის პროსპ., აბიანცის სახლი № 17.



კონკურენციის გარეშე

გრამმოფონი **„ტონარმ"**

მემბრანით **„ექსიბიშენ"**

მემბრანის „ექსიბიშენ"-ის მეოხებით გრამმოფონი-ტონარმ იმდენად გაუმჯობესდა, **რომ ამ სახის** აპპარატები

მთელს!! დედამიწაზე საუკეთესოა

უმთავრესი ღირსებანი „ტონარმისა" „ექსიბიშენის" მემბრანით შემდეგია:

ხმის გარკვევით გადაცემა!! თითქმის სრული უხმაურობა!! ხმის სიმშვენიერე!!

გრამმოფონ **„ტონარმ"-ს** „ექსიბიშენის" მემბრანით ოთხი ტიპი აქვს

100 მანეთიდან 200-მდე.

მოყვარულთა განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ჩვენს ფირფიტებზე

„გიგანტ",

რომელნიც ძალიან მოსწონთ. ამ ფირფიტების დიამეტრი 12 დიუიმია, რაც ნებას იძლევა ამ ფირფიტაზე მოქცეულ იქმნას მთელი არიები, ანსამბლები, საცეკვაო ხმები და სხვა **შეუმოკლებლად!!!**

ამ ფირფიტების დიდ დიამეტრის გამო, ჩვენმა ინჟენერებმა შესაძლოდ დაინახეს ხმის გაძლიერება, გამშვენიერბა, გარკვევით გადაცემა; ამასთანავე დაცულია **ადამიანის ხმის ბუნებრივი ტემბრი.** ერთის სიტყვით ფირფიტა **„გიგანტი"** ადამიანის ხმას სავსებით გადასცემს, ასე რომ ცოცხალი მომღერალი გგონება.

დიდი რეპერტუარი—15 ათასი დამზადებული ნომერი სხვა და სხვა ჟანრისა; ამათ ვუმატებთ ყოველ ორ კვირაში ახალ სერიების ამოცემათ; ამასთან **„გრამმოფონის"** საზოგადოება ჰქვიდის მხოლოდ სრულიად უნაკლულო ფირფიტებს ტეხნიკისა და მუსიკის მხრით.

ტეხნიკური სიკარგე ჩვენის აპარატებისა და შესანიშნავის ხმის ფირფიტისა, რომელნიც გადაცემენ მსოფლიოს გამოჩენილ მომღერალთა ხმებს, მთელს ჩვენს წარმოებას აყენებენ

◆ **კონკურენციის გარეშე** ◆

კატალოგები მსურველთ უფასოდ ეგზავნება. ეხლახან გამოვიდა და იყიდება **ლიბრეტოების მთელი კრებული** გრამმოფონებისათვის. რუსული რეპერტუარი. ეს ლიბრეტო შეიცავს თითქმის 600 ნომერს ოპერისა და ოპერეტის არიებისას, რომანსებისას, სიმღერებისას, ანსამბლებისას, ხოროებისას, კუპლეტებისას და ამბებისას. ამ კრებულის მეოხებით ყოველს მსმენელს შეეძლია გაიცნოს ხმები, რომელთაც გრამმოფონი ასრულებს. ფასი 1 მან. 50 კაპ. (20—17)

ბუხჰალტერი-სპეციალისტი

(წელიწადი მეორე)

ამზადებს წელს ბევრად გადიდებულ პროგრამით როგორც ვაჟებს, ისე ქალებს თეორიულად და პრაქტიკულად ორმაგ იტალიანურ და მარტივ ბუხჰალტერიას, საზოგადო სავაჭროსა და ბანკისასა, კომერციულ არითმეტიკასა, ფინანსიურ გამოანგარიშებასა, არითმეტიკას საანგარიშო ჩოთქით, კომერციულ კორესპონდენციასა, ვაჭრობის ისტორიასა, ვაჭრობის უფლებასა და ვექსილის კანონებში.

(ბანკის ბუხჰალტერია და ვაჭრობის ისტორია მსურველთათვის)

სწავლა ყოველ დღე საღამოს 5-დან 7 საათამდე, უქმეების გარდა. სწავლა ოთხ თვეს გასტანს. სწავლის გაათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ. ფასი მთელი კურსისა 60 მან. სწავლა დაიწყება ენკენისთვის 10-ს 1904 წ.

ადრესი: ტფილისი, **ალ. გ. საათაშვილს,** მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი 17, მე-9 ნაწილში. პირადად მოსალაპარაკებლად ყოველ დღე საღამოს 4-დან 9 საათამდის, კვირა-უქმეობით-კი დილის 9-დან 1 საათამდის და საღამოს 4-დან 9 საათამდის.

ვამზადებ ზემო აღნიშნულ საგნებში აგრეთვე იმათ, რომელთაც საღამოს 8-დან 9-საათამდის შეეძლებათ სწავლა და ამასთანვე თუ ბუხჰალტერიის შესასწავლად დასჭირდებათ საზოგადო არითმეტიკაშიაც. სწავლა გასტანს რვა თვეს ფასი მორიგებით და შეღავათიანად. სწავლის გათავების შემდეგ ატტესტატი მიეცემათ.

)15—258—4) **ალ. გ. საათაშვილი.**

გენერალნოე ობშჩესტვო

(Генеральное общество)

სიცოცხლის და სიკვდილამდის შემოსავალთა დაზღვევისა

აძლევს დამზღვევთ:

1) შეურყეველ გარანტიას, რომ უზრუნველჰყოფს ყველა ნაკისრ მოვალეობას; ამ გარანტიას წარმოადგენს: ა) საზოგადოების ძირითადი თანხა სამი მილიონი მანათისა (3.000.000), ბ) სათადარიგო თანხა, რომელიც სდგება საზოგადოების წმინდა მოგებიდან $10^0/_0$ გადადებით და გ) პრემიების სრულის სათადარიგო ჯამისაგან, რომელიც ინახება, მთავრობის ფაქტიურ კონტროლით, თანახმად 1898 წ. 11 მაისის კანონისა;

2) სრულს ხელუხლებლობას პოლისებისას და ყველა იმ ფულისას, რომელიც დამზღვევმა საზოგადოებიდან ერგებათ, არესტისაგან, გადაცემისაგან და სხვა;

3) უსათუოდ უცილებლობას პოლისებისას დაზღვევიდან 1 წლის შემდეგ.

4) პოლისების დაურღვევლობა დაზღვევიდან 3 წლის შემდეგ, ესე იგი, სამის წლის შემდეგ დამზღვევს ნება აქვს, თუ ჰსურს, შეაჩეროს გადასახადის შეტანა საზოგადოებაში და მიუხედავად ამისა, დარჩეს დაზღვეულად ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივად;

5) პასუხის გებას, თუ დაზღვეულმა თავი მოიკლა.

6) მოგზაურობის სრულს თავისუფლებას;

7) სამსახურისა და პროფესიის სრულს თავისუფლებას;

8) პრემიების სიიაფეს;

9) განთავისუფლებას გადასახადებიდან, რომელიც საჭიროა პოლისების დასამზადებლად და აგრეთვე საგერბო გადასახადებისაგან;

10) უფლებას დამზღვევისათვის გადასახადის თვიურად შემოტანისას;

11, საზოგადოების მოგებაში მონაწილეობის ნებას იმის მიხედვით, თუ რამდენი ექნება დამზღვევს შეტანილი პრემია;

12) სესხს იმ პოლისების გირაოთი, რომელთაც 3 წლის განმავლობაში ძალა ჰქონდათ; სესხი გაიცემა $6^0/_0$-ით;

13) უფლებას შეაჩეროს დროებით დაზღვევა და შემდეგ, თავისავე სურვილის თანახმად, კვლავ აღადგინოს იგი;

14) სამის თვის შეღავათს სავადო პრემიის გადასახდელად და სხვ...

საზოგადოების **გამგეობა** იმყოფება პეტერბურგს, ნევსკი პრ., 23. **ამიერ-კავკასიის ოლქის მმართველობა** ტფილისშია, გოლოვინის პრ., ოქოევის სახლი, ტელეფონი № 429.

აგენტები არიან ოლქის ყველა უმთავრეს ადგილებში. (100—33)